ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ. ლანჩხუთი

23.09 .2022.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, გიორგი ჩახვაძე და გიორგი გოგუაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **თამაზ იმედაიშვილი** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ეკა გუჯაბიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“- ს (ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

3. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან ისაუბრა ყველა იმ განსახორციელებელ ცვლილებებზე, რაც წარმოდგენილი იყო აღნიშნულ საკითხში.

თამაზ იმედაიშვილმა გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 აგვისტოს N1456 განკარგულებით შევიდა ცვლილება 16.08.2021 წლის N1419 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა) გამოყოფილი თანხა შემცირდა 18062 ლარით მათ შორის ცენტრალური დაფინანსება 17881 ლარით,

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 181 ლარით. ასევე საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად ქ. ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია შემცირდა 14781 ლარით. მათ შორის ცენტრალური დაფინანსება 14042 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 739 ლარით.

მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხში არსებული ცვლილებების გარდა იგეგმება საკითხში კიდევ რამდენიმე ცვლილების შეტანა, რომელიც შემდგომ ასახული იქნება დაზუსტებულ განმარტებით ბარათში.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ სასულიერო გიმნაზიის ფასადი არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში და საჭიროებს რეაბილიტაციას. ვინაიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეუძლებელია აღნიშნული პრობლემის მოგვარება მან დააყენა წინადადება, რომ ეთხოვოს მთავრობას იქნებ როგორმე მათი მხრიდან მოხდეს დახმარება.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილია გაკეთდეს სასულიერო გიმნაზიის ფასადის მოსაწესრიგებლად პროექტი და შემდგომ იქნას მოძიებული გზები პრობლემის მოსაგვარებლად.

გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ჩიბათში წესრიგდება კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი 8 კილომეტრიანი გზა. ამჟამად გზის მონაკვეთი არის გრუნტის და აუცილებელია თანხების მოძიება ასფალტის საფარის დასაგებად.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“-ს (ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან ზოგადად ისაუბრა იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე გახდა საჭირო ა(ა)იპის ლიკვიდაცია.

ეკა გუჯაბიძემ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შემდეგ გაცემულ რეკომენდაციებში ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო მერიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობის სფეროებს შორის ფუნქციათა გაორების აღმოფხვრა. აუდიტის ანგარიშში პირდაპირ დასახელდა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“, რომლის საქმიანობის საგანიც ქმნიდა ფუნქციათა გაორების შთაბეჭდილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის პოზიციაა განხორციელდეს ხსენებული იურიდიული პირის ლიკვიდაცია.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ 2021 წელს აღნიშნული ა(ა)იპის ხელმძღვანელობა მუნიციპალიტეტის მერთან ერთად იმყოფებოდა თურქეთში, სადაც საკმაოდ წარმატებული შეხვედრები შედგა, ამასთან ერთად ლიკვიდაციის შემთხვევაში 30-ამდე თანამშრომელი რჩება უმუშევარი. იგი დაინტერესდა სამომავლოდ იგეგმებოდა თუ არა სხვა ა(ა)იპის შექმნა ან რა ბედი ეწეოდა ა(ა)იპის თანამშრომლებს, რაზეც ეკა გუჯაბიძემ გააკეტა განმარტება და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ის ახალი ა(ა)იპის შექმნასთან დაკავშირებით რაიმე სახის ინფორმაციას არ ფლობს და აღნიშნულ საკითზე საკრებულოს სხდომაზე განმარტებას გააკეთებს მუნიციპალიტეტის მერი, როგორც კომპეტენტური პირი.

გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ა(ა)იპის ლიკვიდაციის შემდგომ აუცილებელია ვიმსჯელოთ ტურიზმის მიმართულებით არსებული კადრების დამატებაზე.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-1 (გიორგი გოგუაძე).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“-ს (ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი

23.09.2022 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №7

2022 წლის 23 სექტემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

2. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“- ს (ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“-ს (ს/კ:**233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23.09.2022 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
2	ია მოქია	11 50	
3	გიორგი ჩახვაძე	12 00	
4	სპარტაკ კვაჭაძე	11 50	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	არ ესწრებოდა	
7	გიორგი გოგუაძე	12 00	
8	ჯუმბერ ბლაგიძე	არ ესწრებოდა	